თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3187596

ნომერი: AR1491688

თარიღი : 31.03.2017

გაცემის თარიღი : 05.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , ნაკვეთი 03/043 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი სექანია პ/ნ 01012010642
- თბილისი ვ.ბერიძის ქ.#6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 31 მარტის №AR1491688 განცხადება, ამავე სამსახურის 2017 წლის 23 იანვრის №3050572 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2017 წლის 23 იანვრის №3050572 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ქუჩა შანდორ პეტეფის, ნაკვეთი N03/043, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.10.003.043), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 23 იანვრიდან 2019 წლის 23 იანვრამდე.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 2017 წლის 23 იანვრის №3050572 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და განმარტებულია, რომ უნდა შეიცვალოს საცხოვრებელი ფართობის, ავტოსადგომისა, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი და საზაფხულო ფართობის მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილებით ასევე შეიცვლება საერთო ფართობის მაჩვენებელიც. განმცხადებლისვე განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელებში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი იყო +0.00 ნიშნულზე ავტოსადგომის ფართი 222.25 კვ.მ, ტიპიური სართულის გეგმაში შეცდომით იყო ჩაწერილი საზაფხულო ფართი- ნაცვლად 7.9 კვ.მ-ისა უნდა იყოს 11.00 კვ.მ.ხოლო 6.4 კვ.მ-ს ნაცვლად უნდა იყოს 6.6. კვ.მ -შესაბამისად შეიცვლება საერთო ფართიც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 23 იანვრის №3050572 ბრძანებაში მითითებულია, საცხოვრებელი ფართობი: 1783.0 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 212.4 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 114.3 კვ.მ. რაც შეეხება 2017 წლის 31 მარტის №AR1491688 განაცხადში აღნიშნულ მოთხოვნას, იგი წარმოადგენს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილს და მისი ცვლილება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა ექნება 2017 წლის 23 იანვრის №3050572 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების (პროექტის კორექტირების) მოთხოვნით წარმოდგენილი განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.